ხელშეკრულება № 28
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ტყიბული 12 მარტი 2014 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის გოდერძი ცნობილაძის სახით (რეკვიზიტები: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3. ს.კ. 219636259. ს.ს. პრივატბანკის ტყიბულის სერვისცენტრი, ბ.კ. GAVOGE22 ა.ა.GE37TP0033030020000303) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "სამართვებრივი ექსპერტიზისა და ანალიზის ცენტრი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნინო მუმლაძის სახით, (რეკვიზიტები: ქ.ქუთაისი,თამარ მეფის ქუჩა №53, ს.კ.412674921, ს.ს. პრივატბანკის ტყიბულის სერვისცენტრი, ბ.კ.GAVOGE22 ა.ა. GE39TP0036080020001909) სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას. CPV კლასიფიკატორის კოდი: 71300000

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს,კერძოდ;

ა) წინამდებარე ხელშეკრულება:

ბ) ფასების ცხრილი.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გასწიოს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო–თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიდიკატორის კოდი

1.1. შესყიდვის ობიექტია მოწმე ექსპერტის მომსახურება (შემდგომში "მომსახურება").

1.2 CPV კლასიფიკატორის კოდი 71300000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1100 (ერთიათას ასი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება გამხორციელებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტემური ჩუბინიძე.

5. მომსახურების მიწოდების ვადა და პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2014 წლის 17 მარტის ჩათვლით.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №53

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.2. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5%–ის ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

8. მხარეთა უფლება მოვალეობები

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.1.2 მომსახურეობის მიწოდების მიმდინარეობისას დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

8.2.2 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8,3,2, მომსახურების მიწოდება განახორციელოს საქართველოში მოქმედი სანიტარული ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებელს უფლება აქვს;

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

9. ფორს–მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების მიწოდების პარალელურად, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3, პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტა მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 12 მარტიდან და მოქმედებს 2014 წლის 17 აპრილის ჩათვლით. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ხელშეკრულების დანართი
ფასების ცხრილი

N	გასაწევი მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება
1	ქ. ტყიბულში ნაპირსამაგრების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური ექსპერტიზა	500
2	სოფელ ბუეთში ხიდის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური ექსპერტიზა	600
	სულ ღირებულება	1100

შემსყიდველი

მიმწოდებელი